თემა. რატომ დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები?

ნაბიჯი პირველი

<u>ინსტურქცია მასწავლებლებისათვის:</u>

მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვას: რა ვიცით ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ? ამისთვის ის იყენებს ასოციაციურ (აზროვრივ) რუკას (იხ. ქვემოთ - სტრატეგია 1.) და მოსწავლეების პასუხებს წერს დაფაზე ან ფლიფჩარტზე. ამ სტრატეგიის გამოყენება საჭიროა იმისთვის, რომ მასწავლებელს იცოდეს, თუ რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები ამ ისტორიული მოვლენის ირგვლივ. ამასთანავე, ეს მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს.

აზრობრივი რუკა

აზრობრივი რუკის მიზანია კონკრეტულ საკითხებზე მოსწავლეთა (კლასის) ცოდნის დადგენა-შემოწმება. იგი ხელს უწყობს არსებული ინფორმაციის შეკრება-მობილიზებას, ახალი იდეების დაბადებასა და გამოხატვას.

წრის შუაგულში იწერება ერთი ან ორი სიტყვა (ნაწარმოების სათაური, თემის სათაური, საკვანძო სიტყვა, გამონათქვამი, პერსონაჟის სახელი, ადგილის სახელწოდება და ა.შ...), ირგვლივ კი - ყველა აზრი, რომელიც ამ სიტყვას უკავშირდება.



აზრობრივი რუკა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას პერსონაჟის, მოვლენის, იდეის დასახასიათებლად. იგი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა მოტივაციისთვის.

ნაბიჯი მეორე

<u>ინსტრუქცია მასწავლებლებისათვის:</u>

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ შესავალს - ჯვაროსნული ლაშქრობების მოკლე მიმოხილვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მოსწავლეებმა ასოციაციური რუკის შედგენისას ვერ გამოამჟღავნეს სათანადო ცოდნა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების მიზეზები

შესავალი
ჯვაროსნული ლაშქრობების მოკლე მიმოხილვა

XI საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა მოძრაობა, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების სახელითაა ცნობილი. 1095 წელს რომის პაპმა ურბან II - მ მოუწოდა მთელ საქრისტიანოს წამოეწყოთ ლაშქრობა უფლის საფლავის, ქალაქ იერუსალიმის გასათავისუფლებლად, რომელიც VII საუკუნეში ხელთ იგდეს არაბებმა (მუსლიმებმა). ურბან II - ის ამ მოწოდებას ზურგს უმაგრებდა ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი კომნენოსის თხოვნა თურქ - სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების შესახებ.
1096 – 1291 წლებში გაიმართა სულ 8 ჯვაროსნული ლაშქრობა, რომლებიც დასავლეთ ევროპელებისთვის მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა. 1291 წელს მუსლიმებმა, კერძოდ, მამლუქებმა საბოლოოდ განდევნეს ჯვაროსნები აღმოსავლეთიდან.

ნაბიჯი მესამე

მონაწილე მხარეები - ჯვაროსნული ლაშქრობებში მონაწილე ქვეყნები და სახელმწიფოები

<u>ინსტურქცია მასწავლებლებისათვის:</u>

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ **მეორად წყარო N1 - ს, მეორად წყარო N2 - ს, მეორად წყარო N3 - ს, მეორად წყარო N4 - ს, მეორად წყარო N5 - ს, და მეორად წყარო N6 - ს. და წყაროებზე თანდართულ რუკებს: რუკა N 1 - ს და რუკა N 2 - ს.**

მასწავლებელი ჰყოფს კლასს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს სთხოვს გაცნონ ტექსტს და უპასუხონ ამ ტექსტისთვის განკუთვნილ შეკითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ კლასში მცირე რაოდენობის მოსწავლეა, მაშინ მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დავალებად აძლევს თითო ტექსტის განხილვასა და დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

მეორადი წყარო N1

დასავლეთ ევროპა

XI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში შედარებითი სიმშვიდე ჩამოვარდა. ევროპას აღარ აწუხებდნენ მომთაბარე ხალხების შემოსევები, რაც ასე ხშირი იყო წინა საუკუნეებში. ჰუნების, გერმანელთა ტომების, მოგვიანებით ავარების, უნგრელების, ნორმანების გაუთავებელი ლაშქრობები უმძიმესს მდგომარეობაში აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

XI საუკუნისთვის მდგომარეობა შეიცვალა. იქმნებოდა ახალი ქალაქები. ბოლონიაში დაარსდა პირველი უნივერსიტეტი. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ მოსახლეობის ზრდა გამოიწვია. თუმცა ამ მოვლენას თავის უარყოფითი შედეგიც მოჰყვა. გლეხებისთვის, რომლებიც იმდროინდელი საზოგადოების უდიდესს ნაწილს შეადგენდნენ, აღარ იყო საკმარისი რაოდენობის დასამუშავებელი მიწა. ხშირი იყო უამინდობაც, გვალვა, ქარიშხალი, მწერების შემოსევა, რაც მოსავლის განადგურებას, შიმშილს და ეპიდემიებს იწვევდა. მიწის ნაკლებობის გამო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ წვრილი აზნაურები და რაინდებიც. იმდროინდელი კანონის მიხედვით, მიწა მამიდან მემკვიდრეობით უფროსს ვაჟზე გადადიოდა, ხოლო დანარჩენები უსახსროდ რჩებოდნენ. გაღარიბებული ადამიანები ყაჩაღობასა და ძარცვას მისდევდნენ, რაც ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებას აფერხებდა. ამას ერთვოდა ისიც, რომ მეფეთა ძალაუფლება სუსტი იყო და ამიტომ ფეოდალებს გაუთავებელი ბრძოლები ჰქონდათ ერთმანეთთან და თვით მეფესთანაც. მდგომარეობიდან თავის დასაღწევად მრავალი ადამიანი ეკლესიას მიმართავდა. მათ სწამდათ, რომ დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დაღწევა მხოლოდ რწმენით შეიძლებოდა, რაც ხშირად რელიგიურ ფანატიზმს იწვევდა. მორწმუნეები ხშირად მიდიოდნენ სხვადასხვა წმინდა ადგილების მოსანახულებლად, მათ შორის სირია - პალესტინაში.

შედარებით უკეთესს მდგომარეობაში იყვნენ დიდგვაროვნები და ეკლესია, რომლებიც ევროპის მიწების უდიდესს ნაწილს ფლობდნენ.

<u>კითხვები:</u>

1. რატომ ჩავარდნენ გლეხები მძიმე მდგომარეობაში?
2. რატომ იყო წვრილი აზნაურებისთვის და რაინდებისთვის სიტუაცია მძიმე?
3. რა უშლიდა ხელს დასავლეთ ევროპაში ვაჭრობის განვითარებას?
4. ტექსტზე დაყრდნობით და თქვენი აზრით, რას შეიძლება გამოეწვია რელიგიური ფანატიზმი?

5. რომელი ფენების მდგომარეობა იყო დასავლეთ ევროპაში შედარებით უკეთესი და რატომ?
6. ტექსტიდან გამომდინარე ახსენით, თუ რა იყო იმდროინდელ ევროპაში სიმდიდრის ძირითადი წყარო?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>

შესაძლებელია მოსწავლემ სხვა პასუხები მოიფიქროს. მთავარია ეს პასუხი იყოს ლოგიკური და ფაქტობრივ და არგუმენტირებულ მსჯელობას ეყრდნობოდეს.

1. უმიწობის და სტიქიური მოვლენების გამო;
2. იმდროინდელი კანონისა და დასამუშავებელი მიწების სიმცირის გამო;
3. არასტაბილური სიტუაცია;
4. უიმედობას, გაუნათლებლობას.
5. დიდი ფეოდალებისა და ეკლესიის. რადგანაც მათ ჰქონდათ საკუთრებაში დიდი რაოდენობის მიწები
6. მიწა

მეორადი წყარო N2

იტალიური საზღვაო ქალაქები

XI საუკუნის დასავლეთ ევროპის მიმოხილვისას აუცილებლად უნდა გამოვყოთ იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები. მათ ჩამოყალიბებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო გეოგრაფიულმა მდებარეობამ. განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდნენ ვენეცია, გენუა და პიზა. ეს ქალაქები ხმელთაშუა ზღვაში არსებული სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ისინი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის აღებ-მიცემობის ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრებად გადაიქცნენ.

ეს ქალაქები ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო ვაჭრობაში. ისინი ვაჭრობდნენ სირია - პალესტინის ქალაქებთან, ეგვიპტესთან, ჩრდილო აფრიკასთან, ესპანეთთან და საფრანგეთთან, ასევე ბიზანტიის იმპერიასთან, შავი ზღვის აუზში - ყირიმსა და დასავლეთ საქართველოსთან.

XI – XII საუკუნიდან იტალიური საზღვაო ქალაქები დამოუკიდებელ საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ: საბანკო საქმე, ვაჭრობა და გემთმშენებლობა იყო ძირითადი წყარო ამ ქალაქების ძლიერებისა.

ამ ეპოქაში იტალია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ ევროპის ფეოდალური სახელმწიფოებისგან. აპენინის ნახევარკუნძული პოლიტიკური და კულტურული ელემენტების ნარევს წარმოადგენდა და არა ერთიან სახელმწიფოს.

ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა, რომ გეოგრაფიამ და გარემო პირობებმა განსაზღვრეს იტალიის ისტორია. აპენინის ნახევარკუნძულის მთიანი რელიეფი, ერთის მხრივ იცავდა ამ ქალაქებს მტრის შემოსევებისგან, ხოლო, მეორეს მხრივ ხელს უშლიდა ქალაქებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, რაც გადაულახავ ბარიერად რჩებოდა ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

თავის ნაშრომში, ამერიკელი მკვლევარი როდნი სტარკი ხაზს უსვამს იმას, რომ იტალიურ ქალაქებში ერთმანეთს ერწყმოდა პასუხისმგებლიანი ხელისუფლება, ქრისტიანობა და ჩანასახოვანი კაპიტალიზმი. მეცნიერი ამტკიცებს, რომ იტალიური ქალაქებში ძირითადად რესპუბლიკური სისტემა იყო გაბატონებული, რითაც კარდინალურად განსხვავდებოდა დიდი ევროპული მონარქიებისგან (საფრანგეთი, ესპანეთი), სადაც აბსოლუტური ძალაუფლება მმართველებს ეკუთვნოდათ. ეს კი ხშირად ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის მიზეზი ხდებოდა.

იტალიური საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოებს ჰქონდათ მართვის რესპუბლიკური ორგანოები, რომლებიც ვაჭართა და ხელოსანთა არჩევითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. სახელმწიფოს ეკონომიკაში წამყვან პოზიციებზე ყოფნისას ვაჭრები ცდილობდნენ საკუთარი ინტერესების გატარებას თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით. სწორედ ვაჭრობა წამოადგენდა ამ ქალაქების სიძლიერისა და სიმდიდრის ძირითად წყაროს. საზღვაო რესპუბლიკების ისტორია განუყოფელია დასავლეთის ექსპანსიისა აღმოსავლეთში და ევროპაში კაპიტალიზმის განვითარებისგან.

<u>კითხვები:</u>

1. რამ შეუწყო ხელი იტალიური ქალაქ - სახელმწიფოების ჩამოყალიბებას?
2. ვისთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა იტალიურ საზღვაო ქალაქ სახელმწიფოებს?
3. რა იყო ამ ქალაქების ძლიერების წყარო?
4. რა უშლიდა ხელს იტალიის გაერთიანებას?
5. რა იყო როდნი სტარკის აზრით იტალიის საზღვაო ქალაქ-სახელმწიფოების დამახასიათებელი ნიშნები?
6. რა განსხვავება იყო იტალიურ ქალაქებსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს შორის?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>

1. გეოგრაფიულმა გარემომ;
2. სირია-პალესტინასთან, ეგვიპტესთან, ჩრდილო აფრიკასთან, ესპანეთთან და საფრანგეთთან, ასევე ბიზანტიის იმპერიასთან, შავი ზღვის აუზში - ყირიმსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან.
3. საბანკო საქმე, ვაჭრობა და გემთმშენებლობა;
4. აპენინის ნახევარკუნძულის მთიანი რელიეფი;
5. პასუხისმგებლიანი ხელისუფლება, ქრისტიანობა და ჩანასახოვანი კაპიტალიზმი;
6. ევროპული სახელმწიფოები ცენტრალიზებულ მონარქიებს წარმოადგენდნენ, ხოლო იტალიური ქალაქები ძირითადად - რესპუბლიკებს.

მეორადი წყარო N3

ბიზანტია

V საუკუნიდან მოყოლებული, ბიზანტია წარმოადგენდა ყველაზე განვითარებულ, უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოს და რომის იმპერიის მემკვიდრეს. ტერმინი ბიზანტია მოგვიანებით გაჩნდა, ხოლო თვით ამ იმპერიის მცხოვრებლები საკუთარი თავს რომეებს უწოდებდნენ.

იმპერიამ საკუთარი ძლიერების ზენიტს VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს დროს მიაღწია, თუმცა უკვე VII საუკუნეში მან პირველი დიდი დარტყმა იწვნია, როდესაც ახლადშექმნილმა არაბულმა სახალიფომ უმდიდრესი ტერიტორიები: სირია-პალესტინის ნაწილი, ეგვიპტე და მცირე აზიის ნაწილი ბიზანტიას წაართვა. მუსლიმები თვით დედაქალაქ კონსტანტინოპოლსაც დაემუქრნენ.

XI საუკუნეში რომეების იმპერია კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც თურქ-სელჩუკებმა აღმოსავლეთიდან შემოუტიეს. 1071 წელს მანაზკერტთან ბრძოლაში თურქთა სულთანმა - ალფ-არსლანმა დაამარცხა ბიზანტიელები და მათი იმპერატორი რომანაზ IV დიოგენე დაატყვევა. ამას მოჰყვა თურქული მომთაბარე ტომების მცირე აზიაში ჩამოსახლება. ამასთანავე ბიზანტიელების ებრძოდნენ ნორმანებს, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობას შეეცადნენ. რომეებმა ძლივს შეძლეს ამ შემოსევის მოგერიება.

გართულებულ საგარეო მდგომარეობას ემატებოდა ქვეყნის შიგნით არასტაბილური სიტუაცია. საიმპერატორო კარზე გაუთავებელი ინტრიგები და შეთქმულებები იყო, რის შედეგადაც იმპერატორთა უმრავლესობა ძალადობრივი სიკვდილით ამთავრებდნენ ცხოვრებას. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმპერიაში არ არსებობდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი. თეორიულად, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო გამხდარიყო იმპერატორი. გართულდა გლეხთა მდგომარეობაც, დიდი მიწათმფლობელები მათ მიწებს ართმევდნენ და ლუკმა-პურის გარეშე ტოვებდნენ. ამასთანავე, გაუთავებელი ომების გამო გადასახადები სულ უფრო მეტად იზრდებოდა, რაც მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა.


წინა აზია 1050 - 1204 წლებში
ბიზანტიის
შავი ზღვა
არალის ზღვა
კასპიის ზღვა
ქუთაისი
საქართველო
თბილისი
დარუბანდი
კონსტანტინოპოლი
ნიკეა
ანკარა
ათენი
ეფესო
რუმის სასულთნო
დანიშმენდების საემირო
იმპერია
კონია
ედესა
ანტიოქია
ალეპო
ვ. კრეტა
ვ. კვიპროსი
ხმელთაშუა ზღვა
ტრიპოლი
ბეირუთი
ტვიროსი
სირია
დამასკო
ევფრატი
ტიგროსი
მოსული
ყაზვინი
რეი
ბაღდადი
თურქ-სელჩუკთა სასულთნო
ისპაჰანი
ალექსანდრია
იავა
იერუსალიმი
კაირო
არაბეთი
ლიბია
წითელი ზღვა
სპარსეთის ყურე
შირაზი
ბიზანტიის ტერიტორიები XI ს. -50 - იან წლებში
1055
სელჩუკთა ტერიტორია XI ს. ბოლოს, ტერიტორიების შემოერთების თარიღები
სელჩუკთა დასავლეთის საზღვარი 90-იან წლებში
1097
ბიზანტიის მიერ შემოერთებული ტერიტორიები შემოერთების თარიღები
1098
ჯვაროსნები მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, ბრძოლების თარიღები
აიუბიანთა საზღვრები 1187 წლის შემდეგ
ციფრებით რუკაზე აღნიშნულია:
1. ედესის საგრაფო
2. კილიკიის სომხური სამეფო
3. ანტიოქიის სამთავრო
4. ტრიპოლის საგრაფო
5. იერუსალიმის სამეფო

<u>კითხვები:</u>

1. რომელი ტერიტორიები წაართვეს არაბებმა ბიზანტიელებს?
2. დააკვირდით რუკას (იხ. რუკა N1) და იმსჯელეთ, რატომ იყო ბიზანტიისთვის მძიმე დარტყმა მცირე აზიის დაკარგვა?
3. ტექსტზე დაყრდობით უპასუხეთ, თუ რატომ ამთავრებდა ბიზანტიის იმპერატორების უმრავლესობა სიცოცხლეს ძალადობრივი სიკვდილით?
4. თქვენი აზრით, რატომ მოითხოვდა ომები გადასახადების გაზრდას?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>

შესაძლებელია მოსწავლემ სხვა პასუხები მოიფიქროს. მთავარია ეს პასუხი იყოს ლოგიკური და ფაქტობრივ და არგუმენტებულ მსჯელობას ეყრდნობოდეს.

1. არაბებმა ბიზანტიელებს წაართვეს ეგვიპტე სირია-პალესტინის ნაწილი, და მცირე აზიის ნაწილი.
2. მცირე აზია წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის ცენტრალურ ნაწილს. დედაქალაქი კონსტანტინოპოლი მდებარეობდა მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის გასაყარზე. მცირე აზიაზე გადიოდა სახმელეთო გზები, რომლებიც იმპერიას სირია-პალესტინასთან და ეგვიპტესთან აკავშირებდა.
3. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ტახტი მამიდან შვილზე გადადიოდა და საიმპერატორო დინასტიებიც კი იქმნებოდა, ბიზანტიაში არ არსებობდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი, ამიტომ იმპერატორობის მსურველნი მრავლად იყვნენ, განსაკუთრებით, ჯარის სარდლები.
4. საომარი კამპანიები და ჯარი, რომელიც იმპერიაში დიდი რაოდენობით თანხებს მოითხოვდა. წინა საუკუნეებში ბიზანტიის ტერიტორია და მოსახლეობა დიდი იყო, ამიტომ გადასახადები თითოეულ გადამხდელზე ნაკლები მოდიოდა, ხოლო როცა ტერიტორიები და მოსახლეობა შემცირდა, ბიზანტიის მოქალაქეებს გადასახადები გაეზარდათ. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკლესია, რომელიც მიწებს ფლობდა, გადასახადებს არ იხდიდა.

თურქ - სელჩუკთა იმპერია

თურქ - სელჩუკები მომთაბარეები იყვნენ. მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა და ომი წარმოადგენდა. ძირითად საომარ ძალას მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები წარმოადგენდნენ, რომელთა იარაღს ხმლის და შუბის გარდა, მშვილდ-ისარი წარმოადგენდა. ამიტომ მათი თავდასხმები მოწინააღმდეგისთვის სწრაფი და მოულოდნელი იყო. სელჩუკები წარმოშობით ცენტრალური აზიიდან იყვნენ. XI საუკუნეში მათ ისლამი მიიღეს. ისტორიაში ცნობილი „დიდი სულთნების“ დროს (თოღრულ ბეგი, ალფ არსლანი, მალიქ შაჰი) თურქებმა დიდი დაპყრობითი ომები წამოიწყეს, მათ დაიპყრეს შუა აზია, ირანი, კავკასია (გაიხსენეთ საქართველოს ისტორიიდან „დიდი თურქობა“), მცირე აზია, ბაღდადის სახალიფო (თუმცა, ხალიფა, როგორც ფორმალური რელიგიური ლიდერი მაინც დატოვეს), სირია-პალესტინა და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ბიზანტიას (მანაზკერტის ბრძოლა).

თურქ-სელჩუკებმა ძლიერების ზენიტს მალიქ შაჰის დროს მიაღწიეს, როდესაც იმპერიის ფაქტიური მმართველი გახდა სულთნის პირველი ვეზირი - ნიზამ ალ -მულქი. სულთნის გარდაცვალებისა და მისი ვეზირის მკვლელობის შემდეგ, დაიწყო ბრძოლა მალიქ შაჰის შვილებს შორის. ამ ბრძოლამ საბოლოოდ იმპერია დაშლამდე მიიყვანა. თურქ-სელჩუკთა ტერიტორიაზე ბევრი დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი სამთავრო აღმოცენდა, რომლებსაც გამუდმებული ომები ჰქონდათ ერთმანეთთან.

<u>კითხვები:</u>

1. თქვენი აზრით (ჩამოთვალეთ მიზეზები), რატომ შეძლეს თურქ-სელჩუკებმა დროის მცირე ხნის განმავლობაში დიდი ტერიტორიების დაპყრობა და იმპერიის შექმნა?
2. თქვენი აზრით (ჩამოთვალეთ მიზეზები), რატომ დაიშალა თურქ-სელჩუკთა იმპერია დროის მცირე მონაკვეთში?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>
შესაძლებელია მოსწავლემ სხვა პასუხები მოიფიქროს. მთავარია ეს პასუხი იყოს ლოგიკური და ფაქტობრივ და არგუმენტებულ მსჯელობას ეყრდნობოდეს.

1. თურქ-სელჩუკთა არმია, როგორც ყველა მომთაბარე ჯარი, მეტად მობილური იყო. მათთვის გადაადგილება დიდ ტერიტორიებზე სირთულეს არ წარმოადგნდა, რადგანაც მთელი თავისი ქონებითა და ოჯახებით გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. გარდა ამისა, ის სახელმწიფოები, რომელთა დაპყრობა და დამარცხებაც მოუწიათ იმ

მომენტისთვის კრიზისში იმყოფებოდნენ. მათ სიძლიერეს მათი დიდი რაოდენობაც განაპირობებდა. ამასთანავე, მათ თოღრულ ბეგის, ალფ-არსლანის და მალიქ შაჰის, ასევე ნიზამ ალ-მულქის სახით ჭკვიანი და ნიჭიერი მართველები ჰყავდათ.

2. თურქ-სელჩუკებს არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი გამოცდილება. მიუხედავად, ნიზამ ალ მულქის მცდელობებისა თურქ-სელჩუკების სახელმწიფო მოწყობა არ იყო მტკიცე და შეკრული. ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ მათ ძალიან დიდი ტერიტორია უნდა გაეკონტროლებინათ, რაც შუა საუკუნეებში ძალიან ძნელი იყო - იმპერიის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში მისვლას რამდენიმე თვე სჭირდებოდა.

მეორადი წყარო N 5

ფატიმიანთა სახალიფო

სახელმწიფო, რომელიც X – XII საუკუნეებში არსებობდა და რომლის დამაარსებლები იყვნენ ისლამური შიიტური (1) მიმდინარეობის ისმაილიტური სექტის (2) წარმომადგენლები. ქვეყნის მართველები საკუთარ თავს მიიჩნევდნენ მოციქულ მუჰამედის ბიძაშვილის - ალის და მისი მეუღლის (მუჰამედის ქალიშვილის) ფატიმას შთამომავლებად. სწორედ აქედან მომდინარეობს სახელი - ფატიმიანები.

ფატიმიანთა სახელმწიფო X საუკუნის დასაწყისში იფრიკიის (თანამედროვე თუნისი) ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მათ ადგილობრივი ტომები დაეხმარნენ. 909 წელს ფატიმიანებმა აიღეს იფრიკიის დედაქალაქი კაირუანი. მოგვიანებით კი ხალიფა ალ მუიზმა ეგვიპტე დაიპყრო და აქ ახალი დედაქალაქი - კაირო დაარსა. ამიერიდან სწორედ ეგვიპტე გახდა ფატიმიანთა სახალიფოს ცენტრი. ალ მუიზის დაპყრობითი პოლიტიკა შემდგომმა ხალიფებმაც გააგრძელეს: საკუთარ სახელმწიფოს შემოუერთეს სირია-პალესტინისა და არაბეთის ნახევარკუნძული ნაწილი, კუნძული სიცილია და წითელი ზღვის სანაპირო ზოლი.

XI საუკუნეში ფატიმიანთა სახალიფო ახლო აღმოსავლეთის ერთ - ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფო იყო. აქ აწარმოებდნენ და გასაყიდად გაჰქონდათ ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, ქაღალდს, რკინისა და ხისგან დამზადებულ ნაწარმს, საპონსა და შაქარს. ფატიმიანთა ეგვიპტეში დამკვიდრებამ გამოიწვია ძველი სავაჭრო გზების აღდგენა, კერძოდ, წითელი ზღვით ინდოეთთან ვაჭრობა. ამან ხელი შეუწყო ეგვიპტის, როგორც ვაჭრობაში შუამავლის როლის გაზრდა ინდოეთსა და ევროპას შორის. ასობით და ათასობით ვაჭარი ჩამოდიოდა ყოველდღიურად ევროპული ქალაქებიდან (განსაკუთრებით იტალიური

ქალაქებიდან) მთავარ პორტში - ალექსანდრიაში, სადაც ხდებოდა ადგილობრივი, ინდური და ევროპული ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა.

სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა განათლების განვითარებას. კაიროში იყო წიგნსაცავი, რომელშიც 600 ათასი ხელნაწერი წიგნი ინახებოდა. ამავე ქალაქში მოქმედებდა ალ-აზჰარის თეოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი იყო მთელ აღმოსავლეთში და რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ფატიმიანების ლოზუნგი იყო მთელი ისლამური სამყაროს გაერთიანება. ამიტომ ისინი დაუპირისპირდნენ აბასიანთა ხალიფებს და თურქ-სელჩუკებს. მათი კონფლიქტის მთავარი მიზეზი რელიგიური განსხვავება იყო. როგორც უკვე ვთქვით, ფატიმიანები შიიტები (ისმაილიტები) იყვნენ, ხოლო მუსლიმთა უმრავლესობა და ბაღდადის ხალიფა სუნიზმს (3) მისდევდნენ.

ფატიმიანთა სახელმწიფოს დაღმავლობა დაიწყო მაშინ, როდესაც XI საუკუნის ბოლოს ეგვიპტეში მრავალი წლის განმავლობაში შიმშილი მძვინვარებდა, რაც გვალვითა და ნილოსში წყლის დონის დაკლებით იყო გამოწვეული. ამას შავი ჭირის ეპიდემიაც დაერთო.

ფატიმიანთა სახალიფო ხალიფა ალ - ადიდის გარდაცვალების შემდეგ მოისპო, როდესაც მისი მმართველობა ჯვაროსნული ლაშქრობების ლეგენდარულმა წარმომადგენელმა სალაჰ ად დინი (ევროპულად - სალადინი) ჩაიგდო ხელთ.

(1) **შიიტები** - პირველი ოთხ ხალიფადან აღიარებენ მხოლოდ ალის, ხოლო დანარჩენ სამს უზურპატორებად თვლიან. შიიტური თვალსაზრისით, თემის უზენაესი ხელისუფალი უნდა იყოს მოციქულის შთამომავალი. რადგანაც ალი იყო მუჰამედის ბიძაშვილი და მისი ქალიშვილის - ფატიმას მეუღლე, ამიტომ მხოლოდ მათ შთამომავლებს აქვთ უფლება იყვნენ ხალიფები.

(2) **ისმაილიტები** - VIII საუკუნეში არაბთა ხალიფატის ტერიტორიაზე აღმოცენებული მუსლიმურ-შიიტური სექტის მიმდევრები. სახელწოდება მიიღეს შიიტების მეექვსე იმამის *(იმამი აღნიშნავს მაჰმადიანთა სულიერ წინამძღოლს, მოძღვარს. იმამი შეიძლება აგრეთვე იყოს მაჰმადიანური სახელმწიფოს მეთაურიც, რომლის ხელშიც მოქცეულია საერო და სასულიერო ხელისუფლება)* ჯაფარ სადიკის უფროსი ვაჟის, ისმაილის სახელის საპატივცემულოდ. IX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ისმაილიტების ძლიერი და საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის გავლენა გავრცელდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და მუსლიმური სამყაროს სხვა რეგიონებშიც.

(3) **სუნიტები** - აღიარებენ პირველ 4 "მართლმორწმუნე" ხალიფას (აბუ ბაქრს, ომარს, ოსმანს და ალის კანონიერებას. ასევე ყურანს და მუჰამედის გამონათქვამების და მასთან დაკავშირებული გადმოცემების (სუნას) უტყუარობას.

სუნიზმის თანახმად, ხალიფა შეიძლება გახდეს ნებისმიერი მორწმუნე, რომელიც გამორჩეულია პირადი თვისებებით და ცოდნით და რომელსაც აირჩევს მუსლიმური თემი.

<u>კითხვები:</u>

1. რა განსხვავება იყო შიიზმსა და სუნიზმს შორის?
2. დააკვირდით რუკას და უპასუხეთ შეკითხვას: აფრიკის რომელ ნაწილში ჩამოყალიბდა ისმაილიტელთა სექტა?
3. რომელი ქალაქი გახდა ფატიმიანთა დედაქალაქი ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ?

4. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, უპასუხეთ შეკითხვას: რატომ იყო ფატიმიანთა სახალიფო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფო მახლობელ აღმოსავლეთში?
5. რა იყო მიზეზი ფატიმიანთა სახელმწიფოს დაღმასვლისა?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>
შესაძლებელია მოსწავლემ სხვა პასუხები მოიფიქროს. მთავარია ეს პასუხი იყოს ლოგიკური და ფაქტობრივ და არგუმენტებულ მსჯელობას ეყრდნობოდეს.

1. შიიტები აღიარებდნენ ხალიფად და იმამად მხოლოდ მუჰამადის შთამომავლებს, კერძოდ, ალისა და ფატიმას მემკვიდრეებს, ხოლო პირველ სამ ხალიფას უზურპატორებად მიიჩნევდნენ. სუნიტები პირველ ოთხ ხალიფას, მათ შორის ალისაც ლეგიტიმურ მართველებად მიიჩნევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ხალიფა შესაძლებელია გამხდარიყო ნებისმიერი მუსლიმი, რომელსაც რელიგიური თემი აირჩევდა.
2. ჩრდილო აფრიკის დასავლეთ ნაწილში.
3. კაირო
4. განვითარებული იყო ხელოსნობა, მდებაროებდა საზღვაო და სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, დიდი ყურადღება ექცეოდა განათლებას.
5. მოუსავლიანობა. შიმშილი და შავი ჭირი.

მეორადი წყარო N6

სირია - პალესტინის ქალაქები

სირია - პალესტინა ბიზანტიას, ფატიმიანებსა და თურქ-სელჩუკთა იმპერიას შორის გაუთავებელი ბრძოლის ასპარეზი იყო. XI საუკუნის ბოლოსთვის, როდესაც ეს დიდი სახელმწიფოები დასუსტდნენ ეს რეგიონი მრავალ სასულთნოდ და პატარა საამიროდ დაიშალა. თუმცა, ტექნიკური, კულტურული და სავაჭრო თვალსაზრით სირია - პალესტინა ძალიან განვითარებული რეგიონი იყო. აქაურ ქალაქებში (დამასკო, ანტიოქია, ალეპო, მოსული აკრა, ტრიპოლი, სიდონი, ბეირუთი, ტვიროსი, ასკალონი და სხვა) განვითარებული იყო ხელოსნობა: საღებავების, ლითონის, მინის, ქაღალდის, პარფიუმერიის წარმოება, სხვადასხვა სახის ნაჭრის და ტილოების ქსოვა. სოფლებში მოჰყავდათ ხორბალი, ლიმონი, ზეთისხილი, მრავალფეროვანი ხილი და ბოსტნეული. ეს პროდუქცია

არა მარტო ადგილობრივი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი, არამედ გაჰქონდათ ევროპაში, ეგვიპტეში, ჩრდილო აფრიკასა და ბიზანტიაში.

რაც შეეხება პოლიტიკურ მდგომარეობას, ის ძალიან არასტაბილური იყო. ემირები და სულთნები გაუთავებლად ებრძოდნენ ერთმანეთს.

<u>კითხვები:</u>

1. რატომ იყო სირია - პალესტინა განვითარებული რეგიონი?
2. რომელ ქვეყნებთან ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობები სირია - პალესტინის სახელმწიფოებს?
3. რომელი დიდი სახელმწიფოების ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა სირია - პალესტინა?
4. რა იყო არასტაბილურობის მიზეზი ამ რეგიონში?

<u>პასუხები მასწავლებლებისთვის:</u>

შესაძლებელია მოსწავლემ სხვა პასუხები მოიფიქროს. მთავარია ეს პასუხი იყოს ლოგიკური და ფაქტობრივ და არგუმენტებულ მსჯელობას ეყრდნობოდეს.

1. სირია - პალესტინაში განვითარებული იყო ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. აქ მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის მრავალი საპორტო ქალაქი. ეს რეგიონი მდებარეობდა სამი დიდი და განვითარებული სახელმწიფოს - ბიზანტიის, ბაღდადის და ფატიმიანთა სახალიფოს მეზობლად. ერთი პერიოდი ის ფატიმიანების სახელმწიფოში შედიოდა.
2. ეგვიპტესთან, ევროპის ქვეყნებთან, ბიზანტიასთან და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებთან.
3. თურქ-სელჩუკების, ბიზანტიისა და ფატიმიანთა სახალიფოს.
4. დიდი სახელმწიფოების მეზობლობა და დაქუცმაცებულობა

ნაბიჯი მეოთხე

პირველადი წყარო N1

რობერტ რეიმსელი - პაპი ურბან II–ის გამოსვლა კლერმონის კრებაზე

ნაწყვეტი შერჩეულია რობერტ რეიმსელის ,,იერუსალიმის ისტორიიდან“, რომელიც 8 წიგნისაგან შედგება და გვიყვება მოვლენებზე, რომლებიც დაიწყო 1095 წლის 18 ნოემბრიდან, როდესაც მოიწვიეს კლერმონის კრება, 1099 წლის 12 აგვისტომდე, როდესაც ასკალონთან ცნობილი ბრძოლა გაიმართა (ერთი თვის შემდეგ იერუსალიმის აღებიდან).

,,იერუსალიმის ისტორიის“ ხელნაწერი, როგორც ამის შესახებ ბერი რობერტ რეიმსელი იტყობინება წინასიტყვაობაში, ერთმა აბატმა მიუტანა მას მონასტერში და მისივე თხოვნით მან დაასრულა ის და გადაამუშავა. ავტორს თხრობა 1099 წლამდე მიჰყავს, ვინაიდან ამაზე მთავრდება მოპოვებული ხელნაწერიც. მხოლოდ დასკვნაში ამატებს ბერი რობერტი იერუსალიმის მოკლე აღწერას.

წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ ავტორი არა მხოლოდ ესწრებოდა კლერმონის კრებას, არამედ შემდგომ ეწვია კიდეც იერუსალიმს. მიუხედავად იმისა, რომ რობერტი ურბან II –ის სიტყვაზე 25 წლის შემდეგ წერდა და, ბუნებრივია, არ შეეძლო მისი სიტყვა სიტყვით აღდგენა, მან, როგორც თვითმხილველმა, სწორად გადმოცა ამ სიტყვის შინაარსი.

„ქრისტესშობიდან 1095 წელს, გალიის [დღევანდელი საფრანგეთი] მიწაზე, 18-25 ნოემბერს ქალაქ კლერმონში საეკლესიო კრება მიმდინარეობდა. რომის პაპი ურბან II ამ კრების ოფიციალური დახურვის შემდეგ გამოვიდა სიტყვით, კერძოდ, 26 ნოემბერს შედგა დიდი კრება. მას ესწრებოდა პაპი ურბან II ეპისკოპოსებთან და კარდინალებთან ერთად. ეს კრება გამორჩეული იყო გალელ და გერმანელ როგორც ეპისკოპოსთა და თავადთა სიმრავლით. მოაწესრიგა რა საეკლესიო საქმეები, 26 ნოემბერს პაპი გამოვიდა დიდ მოედანზე, ვინაიდან არ არსებობდა ნაგებობა, რომელიც ყველა დამსწრეს დაიტევდა. მიმართავდა რა ყველას სასიამოვნოდ ტკბილი ხმით, მან წარმოთქვა: ,, ფრანკების ხალხო... თქვენკენაა მომართული ჩემი სიტყვა, თქვენკენ მოდის ჩემი აზრები. მინდა გიამბოთ, რამ მომიყვანა თქვენ მხარეში, თქვენი და ყველა ერთგულის რომელმა უკიდურესობამ დამაყენა თქვენს წინაშე. იერუსალიმიდან და ქალაქ კონსტანტინოპოლიდან მოვიდა მნიშვნელოვანი სიგელი. ადრეც ხშირად მოდიოდა ჩვენამდე ხმა, რომ სპარსეთის სამეფოს ხალხი (1) – დაწყევლილი, გადამთიელი, ღმერთისაგან შორს მყოფი ხალხი, ნაშიერი, რომლის გულს და გონებას არ სწამს უფლის, თავს დაესხა იქ ქრისტიანთა მიწებს, გააპარტახა ისინი ხმლით, ცეცხლით და ძარცვით, ხოლო იქაური მაცხოვრებლები ტყვედ წაასხა ან დახოცა... ღვთის ტაძრები კი ან მოსპო საძირკვლამდე ან თავისი ღვთისმსახურებისთვის გამოიყენა... და ვინ იძიებს შურს ამისათვის და გამოსტაცებს მათ ნაძარცვს, თუ არა თქვენ... თქვენ წინაპართა გმირობისკენ მოგიწოდებთ სახელი და სიდიადე მეფე კარლოს დიდისა (2)... და თქვენი სხვა მეუფეებისა...

განსაკუთრებით გიხმობთ თქვენ საფლავი მხსნელისა და უფლისა ჩვენისა, რომელსაც დაეუფლნენ ამჟამად უწესო ხალხები... მიწა, რომელზეც თქვენ სახლობთ, ყოველმხრივ შემოფარგლულია ზღვებით და მთებით და ამიტომ ის თქვენთვის მცირე გახდა თქვენი

სიმრავლის კვალობაზე; სიმდიდრით ის არ გამოირჩევა და ძლივს აძლევს პურს მის მხვნელ–მთესველს. აქედან მომდინარეობს ის, რომ თქვენ კბენთ და ნთქავთ ერთმანეთს, აწარმოებთ ომებს და სასიკვდილო ჭრილობებს აყენებთ ერთმანეთს. ახლა კი შესაძლებელია შეწყდეს თქვენი სიძულვილი, დადუმდეს მტრობა, მიწყნარდეს შიდა ომები. წამოიწყეთ გზა წმინდა საფლავისკენ; გამოსტაცეთ ის მიწა უწესო ხალხს და დაიმორჩილეთ იერუსალიმი ყველაზე ნაყოფიერი მიწა, მეორე სამოთხე...“.

როდესაც პაპი ურბანი ამ ყოველივეს და სხვა ამგვარს ამბობდა, ყველა იქ მყოფი ისე იყო გამსჭვალული ერთი აზრით, რომ ერთხმად იყვირეს: ,, ასე სურს უფალს, ასე სურს უფალს!“.

(1) **სპარსეთის სამეფოს ხალხი** - ასე უწოდებს ავტორი თურქ-სელჩუკებს
(2) **მეფე კარლოს დიდისა -** შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის პირველი იმპერატორი (768 – 814)

პირველადი წყარო N2

ფულხერი შარტრელის - ,,ფრანკი პილიგრიმების ქმედებები, რომლებიც გაემგზავრენ იერუსალიმის დასაპყრობად“

ფულხერი შარტრელი 1058 წელს ქალაქ შარტრში დაიბადა. რობერტ ნორმანდიელისა და ბლუას ლაშქართან ერთად ის იზიარებს პირველი ჯვაროსნული ომის სირთულეებს და საშიშროებებს. როდესაც გოტფრიდის არმია ნიკეიდან ანტიოქიაში გაემართა, ფულხერიმ დატოვა იგი და გაემართა ბოლდუინთან ერთად ედესაში როგორც მისი კაპელანი (მდივანი). ეს წოდება მან ბოლდუინ II დროსაც შეინარჩუნა. გოტფრიდის გარდაცვალების შემდეგ ის ბოლდუინის ამალასთან ერთად იერუსალიმში ჩავიდა.
ფულხერი შარტრელის ნაწარმოები არ არის უბრალოდ ქრონიკა. იქ მრავლადაა ისეთი მოვლენების თხრობა, რომელთა თვითმხილველიც თვითონ იყო. ამასთანავე ის თავის შთაბეჭდილებებსაც იძლევა მომხდარზე. ამაში მდგომარეობს მისი თხრობის განსაკუთრებული ღირებულება. ნაწარმოები მოიცავს პერიოდს 1095 წლიდან 1127 წლის ჩათვლით და ჯვაროსნული ომების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.
მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილ დოკუმენტებში (და საერთოდ, ყველა იმდროინდელ დოკუმენტში) ავტორები სხვადასხვაგვარად გადმოცემენ პაპის სიტყვას, ისინი სწორად ასახავენ იმ მიზნებს, რომელთაც ისახავდნენ ამ ლაშქრობების ორგანიზატორები.

„ქრისტეს შობიდან 1095 წელს, იმ დროს, როდესაც გერმანიაში მეფობდა იმპერატორი ჰაინრიხი (1), ხოლო საფრანგეთში - მეფე ფილიპე (2), როდესაც ევროპის სხვადასხვა ნაწილებში აღმოცენდა მრავალი სახის ბოროტება, ხოლო რწმენას საფუძველი შეერყა, რომში მოღვაწეობდა პაპი ურბან II, დიდი ზნეობის მოძღვარი, რომელიც უზრუნველყოფდა წმინდა ეკლესიის ბრწყინვალებას...

ის კარგად ხედავდა, თუ როგორ ითელებოდა ქრისტიანული რწმენა, როგორც საეკლესიო, ასევე საერო პირების მიერ, როგორ დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს მთავრები,.. როგორ უგულვებელყოფდნენ მშვიდობას, როგორ იძარცვებოდა ქვეყანა. პაპმა ისიც კარგად უწყოდა, რომ მრავალი ადამიანი უსამართლოდ იყო ბორკილდადებული ტყვეობაში. მათ საშინელ მიწისქვეშეთში ამყოფებდნენ და აიძულებდნენ დიდ ფასად გამოესყიდათ საკუთარი თავი ან სამმაგი წამების - შიმშილის, წყურვილის და სიცივის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. მრავალი მათგანი სიცოცხლეს ყველასგან მივიწყებული ამთავრებდა. ხედავდა რა პაპი, თუ როგორ ძალადობდნენ სიწმინდეებზე, როგორ უკიდებდნენ ცეცხლს მონასტრებსა და სოფლებს და როგორ იგდებდნენ აბუჩად ყველაფერს ღვთაებრივსა და ადამიანურს. რომის პაპის ყურამდე მივიდა ის ამბავი, რომ რომანია თურქებმა ხელიდან გამოგლიჯეს ქრისტიანებს და ამ რეგიონში გამანადგურებელ ლაშქრობებს აწყობდნენ.

...გაიგო რა, რომ თურქებმა ქრისტიანებს რომანიის **(3)** შიდა ნაწილები წაართვეს, ...პაპი მთებით ჩავიდა გალიაში და ქალაქ კლერმონში... მოიწვია კრება... და წარმოთქვა გრძელი სიტყვა... საკუთარი გამოსვლის დასაწყისში, მან მოახსენა დამსწრე საზოგადოებას კრების მოწვევის მიზეზი. მწუხარე ხმით პაპმა ისაუბრა ეკლესიაში გამეფებულ უზნეობაზე, თუ რამდენადაა ადამიანებში შერყეული რწმენა. შემდეგ მან დამოძღვრა დამსწრე საზოგადოება... და მოუწოდა მამაცურად დამდგარიყვნენ ეშმაკის ხრიკების წინააღმდეგ საბრძოლველად და წმინდა ეკლესიის დასაბრუნებლად, რომელიც შებღალულია უწმინდური ადამიანების მიერ.

ამის შემდეგ ურბან II-მ თქვა: ,, ...აუცილებელია, რომ თქვენ დაჩქარებული წესით გაეშუროთ თქვენი ძმების დასახმარებლად, რომლებიც აღმოსავლეთში სახლობენ და თქვენ დახმარებას საჭიროებენ, რასაც დიდი ხანია პირდებით. მათ თავს დაატყდნენ თურქები და არაბები. მათ ისინი დაჯაბნეს, მრავალგზის დაამარცხეს ბრძოლაში, ბევრი დახოცეს და ტყვედ აიყვანეს, ტაძრები დაარბიეს და იმპერია გააპარტახეს...

ამიტომაც მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, და არა მე, არამედ უფალი, რომ თქვენ, ქრისტეს გამომცხადებლები, სულ უფრო ხშირად გააფრთხილოთ ყველა, რომელ წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ცხენოსანს, ისე ფეხით მოსიარულეს, როგორც ღარიბს, ისე მდიდარს, რომ მათ დროულად შეუწყონ ხელი აღმოსავლელ ქრისტიანებს ქრისტიანული სამყაროს ფარგლებიდან ადამიანთა იმ უვარგისი ჯიშის განდევნაში...

ყველა იქ მიმავალს, ხმელეთსა თუ ზღვაზე, თუ ძაღლთაპირებთან ბრძოლაში დაღუპულებს, მიეტევოს ყველა ცოდვა ამიერიდან... გავიდნენ ურწმუნოებთან ბრძოლაში, რომელიც უნდა დაიწყოს, ბრძოლაში, რომელმაც დიდი ალაფი უნდა მოგვცეს. ის ადამიანები, რომლებიც ოდითგანვე მიეჩვივნენ ბოროტად ისარგებლონ ერთმორწმუნე – ქრისტიანებთან კერძო ომის წარმოების უფლებით.

გახდნენ მეომრები ისინი, ვინ ადრე მძარცველები იყვნენ. აწარმოონ სამართლიანი ომი მტრებთან იმათ, ვინც ადრე თანამოძმეებს ეომებოდა. მიიღონ მარადი საჩუქარი იმათ, ვინც ადრე მცირედზე მიდიოდა დაქირავებულ მებრძოლად. ორმაგმა

ღირსებამ დაამშვენოს იმათი მკერდი, ვინც არ ზოგავდა თავს არც სხეულის და არც სულის საზიანოდ. ვინც აქ ღარიბი და უბედურია, იქ მდიდარი იქნება, ვინც აქ უფალს არ ემეგობრება, იქ უფლის მეგობარი იქნება. არ დააყოვნონ წმინდა მიწაზე წამსვლელებმა, ჩააბარონ საიმედო ხელში თავისი ქონება და შეაგროვონ სახსრები გზისთვის ზამთრის დამთავრებამდე და გაზაფხულზე მხნედ დაადგენ გზას“.

(1) **იმპერატორი ჰაინრიხი** - გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV (1084-1106)
(2) **ფილიპე** - საფრანგეთის მეფე ფილიპე I (1060 - 1108)
(3) **რომანია** - ჯვაროსნული ლაშქრობების დროს რომანიას ეძახდნენ ბიზანტიის მცირეაზიურ ტერიტორიებს

პირველადი წყარო N3

ალბერტ აახენელი - იერუსალიმის ისტორია

ამ მემატიანის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოდ, რომ ის წარმოშობით გერმანელი იყო და 1121 – 1158 წლებში რაინის მხარის ქალაქ აახენის მონასტერში მოღვაწეობდა. ტრადიცია მას მიაწერს შუა საუკუნეების ქრონიკის „იერუსალიმის ისტორიის“ ავტორობას. ეს ლათინური ნაშრომი 12 ტომისგან შედგება და მოიცავს 1095-1119 წლებს. ნაშრომი იწყება კლერმონის კრებით. I – V ტომები მოგვითხრობენ ღატაკთა ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. დანარჩენი ნაშრომი ეძღვნება პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობასა და იერუსალიმის სამეფოს აღწერას. ალბერტი არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთში. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ნაშრომი მრავალ საინტერესო ფაქტსა და მოსაზრებას გვაწვდის.

ღმერთმა დაუშვა, რომ დასავლეთის ეკლესია ცოდვების გამო დანგრეულიყო. გამოჩნდნენ ზოგიერთი ფსევდო–წინასწარმეტყველები, ბელზებელის (ეშმაკის) ვაჟები და ანტიქრისტეს მოწმეები, რომლებმაც ცარიელი სიტყვებით აცდუნეს ქრისტიანები. მათ მოჩვენებითი დარწმუნებით აიძულეს ყველა მამაკაცი, რომ წასულიყვნენ სარაცენის (1) წინააღმდეგ, რათა გაეთავისუფლებინათ იერუსალიმი. მათი ქადაგება იმდენად გავლენიანი იყო, რომ თითქმის ყველა რეგიონის მცხოვრებნი ფიცის დადებით სთავაზობდნენ საკუთარ თავს ამ განადგურებაში მონაწილეობისათვის ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. არა მხოლოდ ჩვეულებრივი ხალხი, არამედ მეფეები, ჰერცოგები, მარკიზები და სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისანი, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ გზით დაუმტკიცებდნენ ღმერთს ერთგულებას. ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები, აბატები და სხვა სასულიერო პირები შეუერთდნენ ამ ცოდვას, რომელშიც უაზროდ თავით ეშვებოდნენ სულისა და ხორცის საფრთხეში ჩაგდებით... სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა განზრახვა ამოძრავებდათ. ზოგს ქვეყნების ნახვას ეშურებოდა. სხვები სიღარიბის გამო წამოსულიყვნენ, რომლებსაც სახლში გაჭირვებული ცხოვრება ჰქონდათ. ისინი მზად იყვნენ ეომათ არა მხოლოდ ქრისტეს ჯვრის მტრების წინააღმდეგ, არამედ ქრისტიანთა წინააღმდეგაც, თუ ამის შესაძლებლობა ექნებოდათ, ოღონდაც სიღარიბიდან ამოსულიყვნენ.

იყვნენ სხვებიც, რომლებიც ვალებში იხრჩობოდნენ, ან თავიანთ პატრონებს გამოქცეოდნენ, ან ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლებას არიდებდნენ თავს. ასეთი ადამიანები თავს ღმერთის ერთგულებად ასაღებდნენ და ცდილობდნენ საჩქაროდ გასცლოდნენ უსიამოვნებებსა და შიშს. თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც მოიძებნებოდნენ ისეთებიც, ვისაც თაყვანი არ უცია ეშმაკისთვის, ვისაც წმინდა და კეთილშობილი მიზანი ამოძრავებდა, ვინც ღმერთის სიყვარულით იყო ანთებული და მზად იყო საკუთარი სისხლი დაეღვარა წმინდათა წმინდას გულისათვის.

(1) **სარაცენის** - ასე ეძახდნენ შუა საუკუნეებში არაბებს ევროპელები. შემდგომში ეს სახელი მთელ მუსლიმ მოსახლეობაზე გავრცელდა

პირველადი წყარო N4

იბნ ალ-ასირი, XII-XIII სს., "მსოფლიო ისტორიის კრებული"

იზ-ალ-დინ აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ასირი, ან უბრალოდ იბნ ალ-ასირი (1160 — 1234) — არაბი ისტორიკოსი. მისი მთავარი ნაშრომია „სრული ისტორია“ 12 ტომად. შრომის პირველ ნაწილში (სამყაროს შექმნიდან 922/923 წლამდე) მოთხრობილია ატ-ტაბარის ისტორია შემოკლებით (ჩართულია დამატებითი წყაროები). II ნაწილი (1231 წლამდე) ორიგინალური ნაწარმოებია. მასში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს შესახებ. იბნ ალ-ასირს ეკუთვნის აგრეთვე მუჰამადის თანამოაზრეთა ბიოგრაფიული ლექსიკონი და ქალაქ მოსულის ათაბაგების ისტორია.

"მათი ლაშქრობის მიზეზი ის იყო, რომ მეფე ბარდუილმა (1) მრავალი ფრანკი შეკრიბა. იგი ნათესავი იყო როჯერ ფრანკისა (2), რომელმაც სიცილია დაიპყრო. მან როჯერს მალემსრბოლი გაუგზავნა შეტყობინებით - „დიდი ლაშქარი შევკრიბე და შენკენ მოვდივარ, შენგან კი იფრიკიაში (3) გავემართები, რათა დავიპყრო და შენ გვერდით ვიყო“. როჯერმა საბჭო შეკრიბა. დაახლოებულმა პირებმა უთხრეს: „ეს ჩვენთვისაც და მათთვისაც კარგი იქნება, მთელი ქვეყანა ქრისტიანული გახდებაო“. როჯერმა მათ უპასუხა: როცა ისინი აქ მოვლენ, ბევრი ფული, საკვები და ხომალდები დასჭირდებათ, რათა იფრიკიაში მოხვდნენ. თუ ისინი ქვეყანას დაიპყრობენ, მაშინ ეს ქვეყანა სიცილიაზე დამოკიდებული აღარ იქნება და ვეღარ მივიღებ იქიდან ფულსა და ხორბალს, რასაც ყოველწლიურად ვიღებ. თუ მათ არ გაუმართლებთ, მაშინ ისევ ჩემს ქვეყანაში დაბრუნდებიან და ცუდ მდგომარეობაში ჩამაგდებენ. ჩემი ნათესავი კი ბრალს ღალატსა და პირობის შეუსრულებლობაში დამდებს. ამით ჩვენი მეგობრობა დასრულდება. იფრიკია არსად წავა და როდესაც საკმარისი ძალები გვექნება, თავად ავიღებთ მას.
მან ბარდუილს მალემსრბოლი მოაყვანინა და უთხრა: თუ თქვენ მუსლიმებთან წმინდა ომს გადაწყვეტთ, ჯობს იერუსალიმი აიღოთ და გაათავისუფლოთ, ეს თქვენ ღირსებას მოგიტანთ. რაც შეეხება იფრიკიას, მე მის მცხოვრებლებთან პირობა დავდე და შეწყალება აღვუთქვი. მაშინ ფრანკები სირიის წინააღმდეგ გამოვიდნენ.
..... ამბობენ, ეგვიპტის ფატიმიანმა (4) მმართველებმა, როდესაც დაინახეს, რა ძლიერი იყო სელჩუკთა სახელმწიფო, რომელმაც სირიაში თითქმის მთელი მიწები დაიპყრო და სხვა სახელმწიფო ეგვიპტესა და მათ შორის აღარ რჩებოდა...შეშინებულებმა ფრანკებს ელჩები

გაუგზავნეს. ისინი ფრანკებს მოუწოდებდნენ, სირია დაეპყროთ და ეგვიპტესა და დანარჩენ მუსლიმებს შორის ჩამდგარიყვნენ, მაგრამ ალაჰმა უკეთ იცის."
"ფრანკებმა სირიისკენ წასვლა გადაწყვიტეს. ამიტომ ისინი კონსტანტინოპოლისკენ გაეშურნენ, რათა მუსლიმების მიწისკენ მიმავალ ზღვის ყელზე გადასულიყვნენ... (5). როდესაც კონსტანტინოპოლამდე მიაღწიეს, რუმის (ბიზანტიის) მეფემ ყელზე გადასვლის ნება არ მისცა და უთხრა მათ: მუსლიმების ქვეყნისკენ გზას მოგცემთ, თუ დაიფიცებთ, რომ ანტიოქიას მე გადმომცემთო... ის იმედოვნებდა, რომ ვერც ერთი მათგანი თურქებს ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა, რადგან ენახა, თუ რა ძლიერნი და სასტიკნი იყვნენ თურქნი და რამდენი ქვეყანა დაეპყროთ. ფრანკები ამ წინადადებაზე დათანხმდნენ."

(1) **მეფე ბარდუილი** - ბოლდუინ ბულონელი. ჯვაროსანთა ერთ-ერთი ლიდერი და მომავალში იერუსალიმის მეფე.
(2) **იფრიკია** - არაბულად აფრიკა
(3) **ფატიმიანები** - შიიტური დინასტია, რომელსაც ეგვიპტის ხალიფები განეკუთვნებოდნენ
(4) **ზღვის ყელზე გადასულიყვნენ** - იგულისხმება ბოსფორის და დარდანელის სრუტეები

პირველადი წყარო N5

ანა კომნენოსი, 1083-1148 წ.წ., "ალექსიადა"

ანა კომნენოსი (1083-1153) ბიზანტიელი იმპერატორის ალექსი კომნენოსის ასული. ერთ-ერთი პირველი ქალი მემატიანე. ანა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის სამეფო კარზე განვითარებულ პროცესებში. 1137 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, აღიკვეცა მონაზვნად და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

თავის ისტორიულ ნაშრომში - „ალექსიადა", რომელიც 1137 – 1148 წლებში დაიწერა, 15 ტომში აღწერილია მამამისის, ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენოსის მოღვაწეობა. ანა კომნენოსის ნაშრომი წარმოადგენს მისი მეუღლის, ნიკოფორეს ნაშრომის „ისტორიული ჩანაწერები" გაგრძელებას, რომელიც ძირითადად რომან IV მოღვაწეობას ეხებოდა. ეს ნაშრომი ნიკოფორეს გარდაცვალების გამო დაუმთავრებელი დარჩა. ანას საშუალება ჰქონდა ესარგებლა ბიზანტიის სამეფო კარის არქივით და მრავალფეროვანი დოკუმენტებით. ამავე დროს, ის ნაშრომში გადმოცემული მოვლენების უშუალოს მონაწილეა. შეიძლება ითქვას, რომ „ალექსიადა" წარმოადგენს ბიზანტიელთა თვალით დანახულ ჯვაროსნული ლაშქრობების ძირითად წყაროს, რომელსაც ისტორიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ.

ლათინებს, ბოემუნდისა (1) და მისი თანამოაზრეები მსგავსად, დიდი ხანია სწყუროდათ რომეების (2) იმპერიის ხელში ჩაგდება და მისი დამორჩილება. ..... როგორც უკვე ვთქვი, ბოემუნდის მოწოდებებში მათ შესანიშნავი მიზეზი გამოძებნეს ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ისინი ატყუებდნენ გულუბრყვილო ადამიანებს, თითქოსდა მიემართებოდნენ თურქების წინააღმდეგ, რათა გაეთავისუფლებინათ უფლის საფლავი.

ბოემუნდი - ბოემუნდ ტარენტელი (1054-1111) წ.წ. ტარენტის მთავარი 1088 წლიდან. ანტიოქიის პირველი მთავარი 1098 წლიდან. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბოემუნდი აქტიური მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის წინააღმდეგ მიმდინარე ლაშქრობებში, რომელსაც მამამისი, რობერტ გვისკარი, აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგი აწარმოებდა. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს დაიპყრო ანტიოქია და მისი მთავარი გახდა. 1100 წელს ის ტყვედ ჩაუვარდათ თურქებს დანიშმენდთან ბრძოლის დროს. 3 წლის შემდეგ ბოემუნდი გაათავისუფლეს, თუმცა მეტ წარმატებას ვეღარ მიაღწია
რომეები - ბიზანტიელები

დავალება:
მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გაეცნონ პირველად წყაროებს (**პირველადი წყარო N1 – N5**) და თითოეულ გრაფაში ჩაწერონ მემატიანეების მიერ დასახელებული ჯვაროსნული ლაშქრობის მიზეზები.

წყაროს ავტორი	**განსხვავება**
პირველადი წყარო N1 რობერტ რეიმსელი	
პირველადი წყარო N2 ფულხერი შარტრელის	
პირველადი წყარო N3 ალბერტ აახენელი	
პირველადი წყარო N4 იბნ ალ-ასირი	
პირველადი წყარო N5 ანა კომნენოსი	

დასკვნითი დავალება:

მეორად და პირველად წყაროებზე დაყრდნობით, ჩამოწერეთ თითოეული ქვეყნისა და სახელმწიფოს მიზნები და ინტერესები ჯვაროსნულ ლაშქრობებში?

ავტორი: ლევან ახვლედიანი